საყურადღებო ინფორმაცია რეცენზენტებისათვის

- სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის **რეცენზირების დასაწყებად** გადადით შემდეგ მისამართზე: https://grifireba.emis.ge
- **ანონიმურობა და ინტერესთა კონფლიქტი**:
  - რეცენზენტის ვინაობა, გარდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში უშუალოდ მონაწილე სამინისტროს/სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისა, ყველასათვის კონფიდენციალურია სახელმძღვანელოს/სერიისთვის გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე.
  - პირი, რომლისთვისაც აღნიშნული ინფორმაცია ცნობილი გახდა სახელმძღვანელოს/სერიისთვის გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე, ვალდებულია, არ გაახმაუროს ან ეს ინფორმაცია არ გამოიყენოს გრიფირების მიზნების საწინააღმდეგოდ.
  - ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით აკრძალულია:

    ა) რეცენზენტი იყოს განმცხადებელი, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის საავტორო უფლების მფლობელი ფიზიკური პირი ან ავტორი, მათი ნათესავი.

    ბ) რეცენზენტი და მოსაზრებების განმხილველი კომისიის წევრები იყვნენ ერთი და იგივე პირები ან ერთმანეთის ნათესავები. ნათესავად ჩაითვლება:

    ბ.ა) პირდაპირი ხაზის (აღმავალი, დამავალი) ნათესავი;
    ბ.ბ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები;
    ბ.გ) მეუღლე;
    ბ.დ) მეუღლის და-ძმა და მათი შვილები;
    ბ.ე) მეუღლის აღმავალი ხაზის ნათესავი.
  - ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნისას მხარეები ვალდებულნი არიან სამინისტროს განუცხადონ ამის შესახებ.
  - ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
    ა) რეცენზენტის აცილება;
    ბ) რეცენზიის გაუქმება;
    გ) განაცხადის განუხილველად დატოვება, თუკი დასტურდება ინტერესთა კონფლიქტის ფაქტის არსებობის განზრახი დაფარვა;
    დ) მოსაზრებების განმხილველი კომისიის წევრის აცილება.